

ჯორჯიან მანგანუმის სპეციალური მმართველი - სანარმოს გაჯანსაღების, თუ წილების გადანაწილების მორიგი მცდელობა?

შესავალი

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების თვალსაზრისით ადამიანის ერთ-ერთი ყველაზე დესტრუქციული საქმიანობაა. ფართომასშტაბიან მოპოვებით საქმიანობას, ჩვეულებრივ, უკავშირდება დიდ ტერიტორიებზე ტყეების გაჩეხვა და ნიადაგის ნაყოფიერი ფენი განადგურება. ეს საგრძნობლად ცვლის ლანდშაფტს და გავლენას ახდენს ბიომრავალფეროვნებაზე. ხდება მიწისქვეშა, ზედაპირული წყლების და ნიადაგის დაბინძურება. იცვლება სოციალური გარემო. შეცვლილი სოციალური და ბუნებრივი გარემო პირობები ზემოქმედებას ახდენს ადგილობრივ მოსახლეობაზე. იქმნება კონფლიქტური სიტუაციები, მაგალითად, როდესაც მოპოვებითი საქმიანობა იკავებს სოფლის მეურნეობისთვის გამოსადეგ ტერიტორიას, ან ხდება სასმელი და სარწყავი წყლის დაბინძურება, ჰაერის დაბინძურება, ქონების დაზიანება, და სხვ.

წიაღის მოპოვების უარყოფითი ზემოქმედების სრულად არიდება შეუძლებელია, თუმცა ლიცენზიის გაცემისას შესაძლო ზემოქმედების სათანადო შეფასებისა (გარემოზე ზემოქმედების შეფასების მეშვეობით) და შემდგომში ლიცენზიის პირობებისა და კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულების სრულფასოვანი კონტროლის მეშვეობით, შესაძლებელია ამ უარყოფითი ზეგავლენის მინიმუმამდე დაყვანა.

სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობის მართვის სტრუქტურა ბოლო 20 წლის განმავლობაში რამდენჯერმე შეიცვალა; ცვლილებათა უმეტესობა ითვალისწინებდა სარგებლობის უფლების მინიჭების უფლებამოსილების მქონე უწყების შეცვლას - სხვადასხვა დროს, წიაღით სარგებლობის ლიცენზიის გაცემის უფლება ჰქონდა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს (1996-2008 და 2013-2017 წლებში), ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (2008-2011 წლებში და 2018-დან დღემდე) და ენერჯეტიკის სამინისტროს სსიპ „ბუნებრივი რესურსების სააგენტოს“ (2011-2012 წლებში); თუმცა, ამ ცვლილებებს არსებითი ზეგავლენა არ მოუხდენია ლიცენზიის გაცემის პირობებზე და არც გადაწყვეტილების მიღების პროცესის გაუმჯობესება ან გაუარესება გამოუწვევია. ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ცვლილება, რომელიც 2005 წელს „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ კანონის მიღებას მოჰყვა და რომლითაც წიაღით სარგებლობის უფლების მინიჭების წესი რადიკალურად შეიცვალა. კერძოდ, ცვლილების შედეგად, სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობის უფლების ყიდვა, ყოველგვარი დამატებითი პირობის გარეშე, შესაძლებელი გახდა აუქციონზე. ამასთან, წიაღით სარგებლობა, მანამდე მოქმედი წესისაგან განსხვავებით, აღარ საჭიროებდა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას. სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობის გარემოზე ზემოქმედების შეფასება სავალდებულო მხოლოდ 2018 წლის 1 იანვრიდან გარემოსდაცვითი

შეფასების კოდექსის ამოქმედებასთან ერთად გახდა. თუმცა, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი არ ითვალისწინებს 2005-2017 წლებში გაცემული ლიცენზიების - მათ შორის **ჭიათურის მანგანუმის** მოპოვების 2006 წელს 40 წლის ვადით გაცემული ნიალით სარგებლობის ლიცენზიის, რაიმე სახით რეგულირებას. შესაბამისად, ჭიათურაში მანგანუმის მოპოვებისა და გამდიდრების ბუნებრივი და სოციალური გარემოზე საგანგაშო მასშტაბის უარყოფითი ზემოქმედების შემცირებისათვის მხოლოდ სახელმწიფოს მიერ 2017 წელს დანიშნული **სპეციალური მმართველის** იმედად ვრჩებით.

ჯორჯიან მანგანუმი - გარემოსთვის მიყენებული ზიანი

გამამდიდრებელი ფაბრიკები - გარემოზე ზემოქმედების ნებართვა

ჭიათურის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის დღეისათვის მოქმედი ფაბრიკებიდან ყველაზე ახალი აშენებულია 1962 წელს, ხოლო ყველაზე ძველი - 1935 წელს. აღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ ყველა ფაბრიკის ტერიტორია ათეული წლების განმავლობაში განიცდიდა მნიშვნელოვან ტექნოგენურ დატვირთვას და ბუნებრივი გარემო მნიშვნელოვნად სახეცვლილია.

საწარმოო ჩამდინარე წყალი, რომელიც მადნის რეცხვის პროცესში წარმოიქმნება, დიდი რაოდენობით შეიცავს შენონილ ნაწილაკებს და მანგანუმის ნაერთებს და მცირე რაოდენობით სხვა მიკროელემენტებს. ჩამდინარე წყლების განმენდის მიზნით ფაბრიკებთან მოწყობილია სალექარები და დორები, სადაც ხდებოდა შენონილი ნაწილაკების (შლამის) დალექვა, რის შემდეგაც წყალი ბრუნდებოდა გამამდიდრებელ ფაბრიკებში მეორადი გამოყენებისათვის. ფაბრიკებიდან შლამის გასატანად მოწყობილი იყო შლამსადენი (ორი პარალელური მილსადენი), რომლის საშუალებითაც შლამი მიენოდებოდა ცენტრალურ ფლოტაციურ ფაბრიკებს, სადაც ხდებოდა შლამიდან მანგანუმის კონცენტრატის გამოყოფა. დარჩენილი შლამი გადაიტუმბებოდა ე.წ. "ღურღუმელას" წყალსაცავზე. "ღურღუმელას" წყალსაცავში ხდებოდა შლამის დალექვა, რის შემდეგაც განმენდილი წყალი ბრუნდებოდა მეორადი გამოყენებისათვის.

ამჟამად ჭიათურის სამთო გამამდიდრებელი კომბინატის არცერთ გამამდიდრებელ ფაბრიკას არ გააჩნია მოქმედი განმენდი ნაგებობა, ხოლო ადრე არსებული შლამსადინარები მწყობრიდანაა გამოსული. შესაბამისად, "ღურღუმელას" შლამსაცავი დღეისათვის უმოქმედო მდგომარეობაშია. ფაბრიკებში მწყობრიდან გამოსულია სალექარების და დორების უმრავლესობა, ხოლო შლამსადენი საერთოდ აღარ არსებობს და გამამდიდრებელი ფაბრიკების ჩამდინარე წყლები განმენდის გარეშე ჩაედინება მდ. ყვირილაში, რაც იწვევს მდინარის წყლის შენონილი ნაწილაკებით და მანგანუმის ნაერთებით დაბინძურებას. ყვირილას დაბინძურების დამატებითი წყარო არის ასევე აგლომერატის სანაყარო, რომელზეც ხდება გამამდიდრებელი ფაბრიკა "ცდფ"-ის მიერ სხვადასხვა ფაბრიკების შუალედური პროდუქტების გადამუშავების შემდგომ მიღებული აგლომერატის განთავსება. ეს არის შუალედური ნარჩენი, რომელიც საშუალოდ შეიცავს 15.4% მანგანუმს და გამდიდრების ტექნოლოგიების გაუმჯობესების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება მისგან მანგანუმის კონცენტრატის მიღება. სანაყარო მდინარე ყვირილას მარცხენა სანაპიროზეა განთავსებული. ტერიტორია არ არის შემოღობილი.

2009 წლამდე ჭიათურის მანგანუმის გამამდიდრებელი საწარმოს გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და შესაბამისი ნებართვის გარეშე ფუნქციონირებდა. 2009 წელს გაცემული [ნებართვის პირობები](#) პირველად 2012 წელს შემოწმდა. ნებართვის პირობების დარღვევისათვის კომპანია დაჯარიმდა 5000 ლარით. დარღვევების გამოსასწორებლად სამინისტრომ კომპანიას გონივრული ვადები განუსაზღვრა. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა 2014 წელს გადაამოწმა დადგენილ ვადებში დარღვევების გამოსწორებისათვის გატარებული ღონისძიებები. ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ ნებართვის პირობების დარღვევის გამო დაკისრებული ვალდებულებები კვლავ არ იყო შეუსრულებელი. ამიტომ, ჯორჯიან მანგანუმს დაეკისრა ჯარიმა 15 000 (ნებართვის პირობების განმეორებით დარღვევის გამო ჯარიმის გასამმაგებელი ოდენობა) ლარის ოდენობით. ასევე, სამინისტრომ დაიანგარიშა გარემოსათვის მიყენებული ზიანის ოდენობა, რომელმაც 30 659 550 ლარი შეადგინა.

2014 წლის 17 სექტემბერს სამინისტრომ კომპანიას განმეორებით განუსაზღვრა გონივრული ვადები და დაუდგინდა შესაბამისი ვალდებულებები. კერძოდ, კომპანიას:

- დაუყოვნებლივ დაენყო და 6 თვის ვადაში განეხორციელებინა გამამდიდრებელი ფაბრიკების სანარმოო ჩამდინარე წყლების ლოკალური გამწმენდი ნაგებობის სალექარის მონყობა;
- დაუყოვნებლივ დაენყო და 6 თვის ვადაში სრულად მოენსრიგებინა გამამდიდრებელი ფაბრიკის ყველა შლამშემსქელებლის გამართულად მუშაობა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად;
- 3 თვის ვადაში დაესრულებინა სანარმოს ლაბორატორიის მონყობის სამუშაოები და უზრუნველყო მისი მუშა მდგომარეობაში მოყვანა;
- აგლომერატის სანაყაროდან მდინარე ყვირილაში დასაწყობებული აგლომერატის მოხვედრის აღკვეთის მიზნით დაუყოვნებლივ დაენყო და 6 თვის ვადაში დაესრულებინა სანაყაროს პერიმეტრზე წყალამრიდი არხების მონყობა, ხოლო მდ. ყვირილას მხრიდან დამცავი კედლის აგება;
- დაუყოვნებლივ დაენყო ფაბრიკის მიმდებარე ტერიტორიაზე ღია ცის ქვეშ მადნის გამდიდრების ტექნოლოგიური ხაზის მონყობა, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად.

ზემოთ მოცემული ვადები, კომპანიის თხოვნით, სამინისტრომ თავდაპირველად 2015 წლის 31 დეკემბრამდე, ხოლო მოგვიანებით, 2016 წლის 1 ივლისამდე გაუგრძელა. 2016 წლის ივნისში კომპანიამ კვლავ ითხოვა ვადის 1 წლით გახანგრძლივება, რაზეც სამინისტრო არ დათანხმდა. სამინისტროს განმარტებით, კომპანიას არ გაუწევია რაიმე ძალისხმევა დარღვევების გამოსასწორებლად; შესაბამისად, გადავადების ობიექტური საფუძველი არ არსებობდა.

დადგენილი ვადის ამონურვისთანავე, 2016 წლის 2 ივლისს, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა კვლავ დააჯარიმა კომპანია. ოქმის საფუძველზე ამჯერად კომპანიას დაეკისრა ჯარიმა 45 000 ლარის ოდენობით - ანუ, ერთხელ უკვე გასამმაგებული სანყისი 5000 ლარიანი ჯარიმის, კვლავ გასამმაგებული ოდენობა.

სამინისტროს განმარტებით, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „თუ ამ მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრების მიუხედავად ნებართვის მფლობელის მიერ არ იქნა უზრუნველყოფილი სანებართვო პირობების შესრულება, ნებართვის გამცემი იღებს გადაწყვეტილებას ნებართვის გაუქმების შესახებ“. თუმცა, სამინისტრო იქვე მიუთითებს, რომ „ამასთან, მოცემული მუხლის მე-12 პუნქტის თანახმად, „თუ ნებართვის გაუქმებამ უფრო მეტი ზიანი შეიძლება გამოიწვიოს, ვიდრე ნებართვის მოქმედების გაგრძელებამ, ან არსობრივად შეუძლებელია მისი მოქმედების შეჩერება, ნებართვის გამცემი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას ნებართვის მფლობელისათვის მის მიერ დადგენილი პირობების დაცვით სანებართვო ქმედების განხორციელების უფლების მინიჭების თაობაზე. ასეთ შემთხვევაში ნებართვის მფლობელი ვალდებულია ნებართვის გამცემის მიერ დადგენილ გონივრულ ვადაში უზრუნველყოს დამატებითი სანებართვო პირობების შესრულება“.

2016 წლის 5 ივლისს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა გამოსცა ბრძანება „შპს „ჯორჯიან მანგანუმი“-სთვის საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ დადგენილი პირობების დაცვით სანებართვო ქმედების განხორციელების უფლების მინიჭების თაობაზე“. ბრძანების თანახმად, სამინისტროს მიაჩნია, რომ „სანარმო წარმოადგენს ქალაქ ჭიათურასა და მიმდებარე სოფლების მოსახლეობის ძირითად დასაქმების წყაროს, ხოლო მისთვის გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაუქმება გამოიწვევს მნიშვნელოვან სოციალურ კრიზისს... გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მოცემულ შემთხვევაში გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაუქმება და ამით ნებართვის მფლობელისთვის საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ვერ უზრუნველყოფს შექმნილი რთული ეკოლოგიური მდგომარეობის გამოსწორებას, ხოლო ნებართვის

მფლობელისთვის დამატებითი გარემოსდაცვითი ღონისძიებების დაკისრება და მათი აღსრულების მონიტორინგი არსებული მდგომარეობის გამოსწორების მეტ შესაძლებლობას იძლევა“.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 5 ივლისის №334 ბრძანების შესაბამისად, შპს „ჯორჯიან მანგანუმს“ მიენიჭა სანებართვო ქმედების განხორციელების უფლება 2017 წლის 31 დეკემბრამდე ზემოთ მოცემული ვალდებულებების შესრულებისა და ახალი გამამდიდრებელი ფაბრიკის მშენებლობის პირობით.

საჯარო განხილვისთვის ჭიათურაში მანგანუმის მადნის ახალი გამამდიდრებელი საწარმოს მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში „ჯორჯიან მანგანუმმა“ ჯერ კიდევ 2014 წლის ნოემბერში გამოაქვეყნა. ახალი პროექტის მთავარი ნაკლოვანება წარმოების ნარჩენების - შლამის განთავსების მოუგვარებელი პრობლემა იყო. კომპანია ახალი საწარმოსათვის ნარჩენების განთავსების ორ ალტერნატივას განიხილავდა: 1. ღურღუმელას შლამსაცავს - რომელიც უკვე დიდი ხანია მწყობრიდან არის გამოსული 2. დალახაურის შლამსაცავი - რომლის მშენებლობის წინააღმდეგი იყო ადგილობრივი გამგეობა და სოფელ ითხვისის და სოფელ შუქრუთის მოსახლეობა - ძირითადად, მავნე ზემოქმედების საფრთხისა და სოფლებთან სიახლოვის გამო. საჯარო განხილვისთვის წარმოდგენილი დოკუმენტი კომპანიას ეკოლოგიური ექსპერტიზისთვის აღარ წარუდგენია.

2016 წლის დასაწყისში ჯორჯიან მანგანუმმა კვლავ გამოაქვეყნა დოკუმენტაცია საჯარო განხილვისთვის, თუმცა საწარმოს ნარჩენების განთავსების პრობლემა კვლავ მოუგვარებელი დარჩა. 2016 წლის თებერვალში კომპანიამ ჩაატარა „საჯარო განხილვა“, რომლის შესახებ არ იყო ინფორმირებული ადგილობრივი მოსახლეობა. შეხვედრის ჩატარების შესახებ განცხადებაც კი არ იყო გამოკრული შენობის ფასადზე.

2016 წლის 26 დეკემბერს კომპანიამ მიმართა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მოსაპოვებლად. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, „ახალი გამამდიდრებელი ფაბრიკის კონცეპტუალური პროექტის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს, ე.წ. დალახაურის ხევში დაგეგმილია შლამსაცავის მოწყობა, რისთვისაც დღეისათვის მომზადებულია საპროექტო დოკუმენტაცია. შლამსაცავის მშენებლობა მოხდება ფაბრიკის მშენებლობის პარალელურად და მათი ექსპლუატაციაში გაშვება დაგეგმილია ერთდროულად. საპროექტო შლამსაცავის მოსაწყობად შერჩეული ხეობა მდებარეობს საპროექტო გამამდიდრებელი ფაბრიკის ტერიტორიასთან ახლოს, დაახლოებით 500-600 მ-ის დაცილებით. შესაბამისად, შლამსაცავის მოწყობის შემთხვევაში მნიშვნელოვნად შემცირდება ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი და უსაფრთხოების რისკები. დალახაურის შლამსაცავში ნარჩენების ტრანსპორტირება მოხდება შლამსადენი მილსადენებით და სპეციალური ავტომანქანებით“. მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტის თანახმად, შლამსაცავის საპროექტო დოკუმენტაცია მომზადებული იყო, ინფორმაცია არ იყო წარმოდგენილი გზმ ანგარიშში; ასევე, არ იყო წარმოდგენილი შლამსაცავის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება. აღნიშნულის საფუძველზე, მწვანე ალტერნატივამ მიმართა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს და მოუწოდა არ გაეცა დადებითი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე, ვინაიდან გარემოზე ზემოქმედების შეფასება უნდა მოხდეს სრული საწარმოო ციკლის, რომლის განუყოფელი ნაწილია შლამსაცავი. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ არ გაიზიარა მწვანე ალტერნატივას მოსაზრება და 2017 წლის 10 იანვარს გასცა დადებითი [ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა](#). 2017 წლის 23 მარტს სამინისტრომ კომპანიას 2 კვირის ვადაში შლამებისა და მყარი ნარჩენების განთავსებისათვის ტერიტორიის შესარჩევად ალტერნატივების წარდგენა მოსთხოვა, რაც კომპანიამ არ შეასრულა.

ყოველივე ზემოაღნიშნული ნათლად აჩვენებს, რომ 2017 წელს არსებობდა უკვე მრავალგზის გამყარებული საფუძველი გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაუქმებისათვის.

წიალის მოპოვება - ლიცენზია

გაცილებით მასშტაბურ პრობლემებს ქმნის მანგანუმის მოპოვება. ჭიათურისა და საჩხერის რაიონების ტერიტორიაზე განვითარებული მენჯრული პროცესების გააქტიურება ძირითადად დაკავშირებულია მანგანუმის საბადოს დამუშავებასთან. საშიში გეოდინამიკური პროცესების განვითარება გამოწვეულია როგორც კარიერების დამუშავებით, ისე სამუშაოების დამთავრების შემდგომ, რეკულტივაციის ჩატარებლობით. საშიში გეოდინამიკური პროცესების გარდა, მანგანუმის მოპოვებას უკავშირდება პაერის, ნიადაგის, წყლის მნიშვნელოვანი დაბინძურება, ხმაური და ამ ყველაფრის მავნე ზემოქმედება ადამიანების ჯანმრთელობაზე. გარდა იმისა, რომ ადამიანების საარსებო გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება სახიფათო მასშტაბებს მიაღწია, პერმანენტულად ზიანდება ადამიანების საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები, სახლები, მოსავალი და პირუტყვი.

ჯორჯიან მანგანუმის საკუთრებაში არსებული წიალით სარგებლობის ლიცენზია გაცემულია 2006 წელს 40 წლის ვადით. ლიცენზიის პირობებით კომპანიას სამეწარმეო საქმიანობისათვის გამოეყო 16 430 ჰა, რომელთაგან ჭიათურის რაიონში არის 13 068 ჰა (რაიონის მთლიანი ფართობის 24%), ხოლო საჩხერის რაიონში 3 362 ჰა.

2006 წელს გაცემული ლიცენზიის პირობების შემონმდება პირველად მხოლოდ 2013 წელს მოხდა, ისიც ნაწილობრივ - შემონმდა მხოლოდ სოფ. პერევისას, რგანის, ითხვისის და ზედა ითხვისის ტერიტორიებზე წიალის რია კარიერული წესით მოპოვების პრაქტიკა. შემონმების შედეგად დადგინდა, რომ ირღვეოდა ლიცენზიის პირობები, წიალით სარგებლობისას გარემოსა და უსაფრთხოების დაცვისთვის არსებული თითქმის ყველა ნორმა და წესი. კომპანია დაჯარიმდა 500 ლარით, განესაზღვრა გონივრული ვადა დარღვევების გამოსწორებისათვის; ხოლო გარემოსთვის მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 2 079 582,34 ლარი. ასევე, საქმე შეიცადა სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს, ამიტომ განსახილველად გადაეგზავნა საოლქო პროკურატურას. 2014 წელს განმეორებითი შემონმებისას გაირკვა, რომ გონივრულ ვადებში დარღვევები არ აღმოფხვრილა. ამჯერად კომპანია 1500 ლარით დაჯარიმდა. კომპანიას კვლავ დაუნესდა გონივრული ვადა დარღვევების გამოსასწორებლად. თუმცა, როგორც 2017 წელს ჩატარებული შემონმების შედეგად კვლავ გამოვლინდა კანონის მნიშვნელოვანი დარღვევები.

2014 წელს შემონმდა რგანის, წერეთლისა და შუქრუთის მადაროები და მადაროების მიწისზედა პერიმეტრი. შემონმების შედეგად დადგინდა გარემოს დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის არსებული ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევები. მაგალითად: მუშაობა მიმდინარეობდა წიალით სარგებლობის პროექტის გარეშე, კომპანია არ ჰქონდა საბაზო სამუშაოთა განვითარების ყოველწლიური გეგმა, ტერიტორია დაბინძურებული იყო საყოფაცხოვრებო ნარჩენებით, არ ხდებოდა ძირითადი და თანმდევი მარაგების მდგრადობის, დინამიკის, რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებების და დანაკარგების შესახებ მონაცემების ბუსტი აღრიცხვა. ამჯერად კომპანია ჯარის გაორმაგებული ოდენობით - 1000 ლარით დაჯარიმდა და კვლავ განესაზღვრა ვადა დარღვევებს აღმოსაფხვრელად.

2014 წელს შუქრუთის, მღვიმევისა და ზედა რგანის კარიერებზე მნიშვნელოვანი დარღვევების გამო, ჯორჯიან მანგანუმი კვლავ დაჯარიმდა 1000 ლარით, ამჯერად გარემოსათვის მიყენებულმა ზიანმა 324 328 434, 23 ლარი შეადგინა. ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული შემონმების ოქმის თანახმად, დაფიქსირდა კანონის დარღვევის შემდეგი ფაქტები:

- ყველა კარიერზე მოპოვებითი სამუშაოები შესრულებულია საბადოს დამუშავების პროექტის დარღვევით. ყველა საფეხურის დაფერდების კუთხე 90 გრადუსამდე, ნაცვლად გათვალისწინებული 70-ისა;
- არ არის დატოვებული დამცავი ბეგები;
- არ არის მოხსნილი და დასაწყობებული მიწის ნაყოფიერი ფენა, რამაც ნიადაგის ძლიერი დეგრადაცია გამოიწვია;
- ფუჭი ქანები ჩაყრილის ხევში, რამაც ფერდობების გაუვარგისება გამოიწვია.

2013 წელს დაწყებული შემონმების შედეგად გამოვლენილი იქნა უკანონო ტყეთსარგებლობის და ხე-ტყის განადგურების არაერთი ფაქტი.

- 2013 წელს გამოვლენილი იქნა უკანონოდ მოთხრილი და ჩამარხული 220,6 მ³ ხე-ტყე; გარემოსთვის მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 158 832 ლარი.
- 2015 წელს დადგინდა, რომ კომპანიას განადგურებული აქვს 591,94 მ³ ხე-ტყე 76 342 მ² ფართობზე; ზიანმა შეადგინა 403 504,2 ლარი.
- 2016 წელს ჩატარებული შემონმების შედეგად გამოვლინდა 176,17 მ³ ხე-ტყის განადგურების ფაქტი; ზიანმა შეადგინა 87 684,48 ლარი.

ისევე როგორც ნებართვის შემთხვევაში, გემოლწერილი ნათლად აჩვენებს, რომ ჯორჯიან მანგანეზი მიზანმიმართულად არღვევდა საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს და ჯერ კიდევ 2013 წელს არსებობდა ლიცენზიის გაუქმების საფუძველი.

ფესტაფონს ფერო

ჭიათურის მანგანუმის გამამდიდრებელი ფაბრიკებისა და წიაღით სარგებლობის ლიცენზიის გარდა, ჯორჯიან მანგანუმის სანარმოო ციკლში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ფესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანას. ქარხანამ ოპერირება გაცილებით ადრე (1933) დაიწყო, ვიდრე „გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონი ამოქმედდებოდა. გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ კანონის თანახმად, სანარმოს ნებართვა 2010 წლის 1 იანვრამდე სამინისტროსთან შეთანხმებული გეგმის (პროგრამის) შესაბამისად უნდა მოეპოვებინა. თუმცა, დღეის მდგომარეობით სანარმოს ნებართვა არ გააჩნია. კანონის ურჩი და უხეში დარღვევის გამო სანარმო არაერთხელ დაჯარიმდა. შემონმების მასალები შინაგან საქმეთა სამინისტროსაც გაეგზავნა სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების გამო.

2015 წელს შესამედ ჩატარებული შემონმებისას გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა დაადგინა, რომ სანარმოს ფუნქციონირების შედეგად ხდებოდა ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა (მტვერი, მანგანუმის (IV) ოქსიდი, გოგირდის (IV) ოქსიდი, აზოტის (IV) ოქსიდი, ნახშირბადის (III) ოქსიდი, ნახშირბადის (IV) ოქსიდი) ბენორმული გაფრქვევა. მხოლოდ ატმოსფერულ ჰაერზე მავნე ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგად გარემოსთვის მიყენებული ზიანი შეფასდა 60 472 413,6 ლარად.

2013-2017 შემონმების შედეგები

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ინფორმაციის თანახმად, 2013-2017 წლებში შპს „ჯორჯიან მანგანუმის“ საქმიანობის შედეგად (როგორც ლიცენზიის ფარგლებში წიაღით სარგებლობისას, ისე გამამდიდრებელი სანარმოს მუშაობისა და ფეროშენადნობთა ქარხნის მუშაობის შედეგად) გარემოსთვის მიყენებული ზიანმა 416 110 418,51 ლარი შედგინა, აქედან:

- გარემოზე ზემოქმედების ნებართვის პირობების შეუსრულებლობა, მათ შორის არ განხორციელდა გამამდიდრებელი ფაბრიკის სანარმოო ჩამდინარე წყლების ლოკალური გამწმენდლების მოწყობა. დაბინძურებული წყლები გაუნმენდავად ჩაედინება მდ. ყვირილაში - 30 799 860 ლარი; - საგულისხმოა, დაბინძურება გრძელდება დღემდე;
- ლიცენზიის კონტურში (რგანის მაღარო) შემავალ სახელმწიფო ტყის ფონდში ხე-ტყის უკანონო ჭრა 2,3ჰა-ზე მოთხრილი ხე-ტყე - 158 832 ლარი;
- მიწის დეგრადაცია-დაბინძურებით გარემოსთვის მიყენებულ ზიანმა 01.10.2010- 01.04.2014 პერიოდში შეადგინა 324 328 434,23 ლარი;

- წყლის (მდინარე ყვირილა) დაბინძურებით გარემოსთვის მიყენებულმა ზიანმა 03.09.2013- 01.01.2014 პერიოდში შეადგინა 30 659 550 ლარი;
- ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებით გარემოსათვის მიყენებულმა ზიანმა 01.01.2012- 16.04.2015 პერიოდში შეადგინა 60 472413,6 ლარი;
- ტყის რესურსებზე უკანონო ქმედებით 2013-2016 წლებში გარემოსთვის მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 650 020,68 ლარი.

სპეციალური მმართველი

კანონით დადგენილი ნასი

[ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ](#) საქართველოს კანონი არეგულირებს არა მარტო ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემის, არამედ ლიცენზიებისა და ნებართვების პირობების შესრულების კონტროლისა და გაუქმების საკითხებს.

კანონის 22-ე მუხლი ადგენს **პასუხისმგებლობას სალიცენზიო პირობების დარღვევისათვის**. ამ ნორმის თანახმად, ლიცენზიის მფლობელის მიერ სალიცენზიო პირობების შეუსრულებლობა გამოიწვევს ლიცენზიის მფლობელის დაჯარიმებას. ამასთან, ლიცენზიის გამცემი განსაზღვრავს გონივრულ ვადას პირობების დაკმაყოფილებისათვის და დაადგენს პირობებს, რომელთა დაცვაც აუცილებელია კონკრეტული საქმიანობის განხორციელებისათვის. დადგენილ ვადაში ლიცენზიის პირობების შეუსრულებლობა გამოიწვევს დაკისრებული ჯარიმის გასამმაგებას. კვლავ დგინდება ვადა და პირობები სალიცენზიო პირობების დაკმაყოფილებისათვის. კანონი ითვალისწინებს ჯარიმის კიდევ ერთხელ გასამმაგების შესაძლებლობას. თუკი, ყოველივე აღნიშნულის შემდეგ ლიცენზიის მფლობელი არ უზრუნველყოფს პირობების შესრულებას, ლიცენზიის გამცემი იღებს გადაწყვეტილებას ლიცენზიის გაუქმების შესახებ (22-ე მუხლის მე-4 ქვეპუნქტი).

კანონის ამავე მუხლის თანახმად, პასუხისმგებლობა, ლიცენზიის გაუქმების სახით, გამოიყენება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ლიცენზიის მფლობელის დაჯარიმება ვერ უზრუნველყოფს სალიცენზიო პირობების შესრულებას. ამასთან, თუ ლიცენზიის გაუქმებამ უფრო მეტი ზიანი შეიძლება გამოიწვიოს, ვიდრე ლიცენზიის მოქმედების გაგრძელებამ, ან არსობრივად შეუძლებელია მისი მოქმედების შეჩერება, ლიცენზიის გამცემი იღებს **დასაბუთებულ გადაწყვეტილებას** ლიცენზიის მფლობელისათვის მის მიერ დადგენილი პირობების დაცვით ლიცენზირებადი საქმიანობის გაგრძელების უფლების მინიჭების თაობაზე. თუკი, ამის მერეც ლიცენზიის მფლობელი არ შეასრულებს სალიცენზიო პირობებს, ლიცენზიის გამცემი უფლებამოსილია თვითონ ან მესამე პირთა მეშვეობით ლიცენზიის მფლობელის სახელითა და ხარჯით უზრუნველყოს პირობების შესრულება. ხოლო როდესაც ასეთი ფორმით შეუძლებელია პირობების შესრულება, ლიცენზიის გამცემს შეუძლია შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს **სპეციალური მმართველის** დანიშვნის შესახებ.

ლიცენზიებისა და ნებართვების კანონის 34-ე მუხლი, კი, ადგენს **პასუხისმგებლობას სანებართვო პირობების დარღვევისათვის**. ამ შემთხვევაშიც სანებართვო პირობების დარღვევი ჯარიმდება კანონით დადგენილი წესით, დაჯარიმების მიუხედავად პირობების ვადებში შეუსრულებლობა, ასევე, ჯარიმდება გასამმაგებელი ოდენობით და ამ ჯერზე შეუსრულებლობაც წინა ჯარიმის გასამმაგებელი ოდენობით ჯარიმდება. ამის შემდეგ ნებართვის გამცემს შეუძლია ნებართვის გაუქმება. თუ ნებართვის გაუქმებამ უფრო მეტი ზიანი შეიძლება გამოიწვიოს, ვიდრე ნებართვის მოქმედების გაგრძელებამ, ან არსობრივად შეუძლებელია მისი მოქმედების შეჩერება, ნებართვის გამცემი იღებს **დასაბუთებულ გადაწყვეტილებას** ნებართვის მფლობელისათვის მის მიერ დადგენილი პირობების დაცვით სანებართვო ქმედების განხორციელების უფლების მინიჭების თაობაზე. ამ შემთხვევაშიც ნებართვის გამცემი უფლებამოსილია ნებართვის მფლობელის სახელითა და ხარჯით უზრუნველყოს სანებართვო პირობების შესრულება - თვითონ ან მესამე პირთა მეშვეობით; ხოლო, თუკი ეს შეუძლებელია, ნებართვის გამცემის შუამდგომლობის

საფუძველზე სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას სანებართვო ქმედების განსახორციელებლად და სანებართვო პირობების შესასრულებლად სპეციალური მმართველის დანიშვნის შესახებ.

თუ დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს ზიანი, როგორც სალიცენზიო, ისე სანებართვო ქმედების განსახორციელებლად და სანებართვო პირობების შესასრულებლად სპეციალური მმართველი შეიძლება დაინიშნოს ნებართვის გამცემი უწყების დასაბუთებული გადაწყვეტილებით და შემდეგ წარუდგენს სასამართლოს გადაწყვეტილების მისაღებად.

სპეციალური მმართველის დანიშვნის წესი, უფლებამოსილება და ანაზღაურება
სპეციალური მმართველი უფლებამოსილია ლიცენზიის/ნებართვის მფლობელის ხარჯით სალიცენზიო/სანებართვო პირობების შეძლებისდაგვარად უმოკლეს ვადაში შესრულების უზრუნველყოფის მიზნით განახორციელოს ყველა ღონისძიება, რომელიც უკავშირდება ლიცენზირებად/სანებართვო საქმიანობას.
სპეციალური მმართველის მიერ განხორციელებული საქმიანობის ყოველთვის ანგარიშს ამტკიცებს სასამართლო.
სპეციალური მმართველი ინიშნება განსაზღვრული ვადით. თუ დადგინდა ვადაში ვერ შესრულდა სალიცენზიო/სანებართვო პირობები, სასამართლო უფლებამოსილია გააგრძელოს აღნიშნული ვადა.
ლიცენზიის/ნებართვის მფლობელი ვალდებულია სპეციალური მმართველის მოთხოვნისას დაყოვნებლივ მიანოდოს მას ლიცენზირებად საქმიანობასთან დაკავშირებული ყოველგვარი ინფორმაცია ან მატერიალური საშუალებები.
სპეციალური მმართველის ან თვით ლიცენზიის მფლობელის მიერ სალიცენზიო პირობების შესრულების უზრუნველყოფის შემთხვევაში, სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას სპეციალური მართვის გაუქმების შესახებ.
ყველა ქმედება, რომელიც მიმართულია სალიცენზიო პირობების შესრულების უზრუნველყოფისაკენ, მათ შორის, სპეციალური მმართველის ანაზღაურება, ხორციელდება ლიცენზიის მფლობელის ხარჯით.
სპეციალური მმართველის უფლებამოსილების, საქმიანობისა და ანაზღაურების საკითხები, ლიცენზირებადი საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, შესაძლებელია დამატებით დარეგულირდეს ლიცენზიის გამცემის ან მისი ზემდგომი (მაკონტროლებელი) ადმინისტრაციული ორგანოს ნორმატიული აქტით.

საკულისხმოა, რომ ლიცენზიის და/ან ნებართვის პირობების შეუსრულებლობის გამო, საწარმოში სპეციალური მმართველის დანიშვნის შესაძლებლობას კანონი მიღების დღიდან (24/06/2005) ითვალისწინებს, თუმცა გარემოსდაცვით სფეროში ამ მექანიზმის გამოყენების პრაქტიკა მხოლოდ ერთი შემთხვევით - ჯორჯიან მანგანუმში მმართველის დანიშვნით, შემოიფარგლება.

სპეციალური მმართველის დანიშვნა ჯორჯიან მანგანუმში

2017 წლის 11 მაისს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ გაავრცელა განცხადება შპს „ჯორჯიან მანგანუმში“ სპეციალური მმართველის დანიშვნის თაობაზე. [განცხადებაში](#) აღნიშნული იყო: „კომპანია, რომელიც წლებია ფლობს მანგანუმის მადნის მოპოვების ლიცენზიასა და ახორციელებს მანგანუმის გამდიდრებისა და გადამუშავების საქმიანობას, სახელმწიფოს მხრიდან არაერთი დაჯარიმებისა და ადგილზე მძიმე ეკოლოგიური მდგომარეობის გამოსწორების მიზნით გონივრული ვადების განსაზღვრისა, კვლავ აგრძელებდა საქმიანობას გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მძიმე დარღვევით, რაც საბოლოოდ დადასტურდა მიმდინარე თვეს განხორციელებული დათვალიერების შედეგად. გაირკვა, რომ მდგომარეობა როგორც მდინარის, ასევე ნიადაგის დაბინძურებისა და დეგრადაციის კუთხით არათუ გამოასწორა კომპანიამ, არამედ ბევრად დაამძიმა, რაც ადგილზე ფაქტობრივად ეკოლოგიური კატასტროფის მდგომარეობის ტოლფასს სიტუაციას ქმნის“. ამ მდგომარეობის

გამოსწორების მიზნით, სამინისტრომ შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა საწარმოში სპეციალური მმართველის დანიშვნა, „რომელიც იქნება პასუხისმგებელი სიტუაციის ეტაპობრივ გამოსწორებაზე“.

სასამართლოსთვის წარდგენილ შუამდგომლობაში სამინისტრო უთითებდა, რომ გამოყენებულმა ჯარიმებმა და დამატებით მიცემულმა ვადებმა ვერ აიძულა კომპანია შეესრულებინა სალიცენზიო და სანებართვო პირობები. „პირობების შესრულების საკითხი კი განსაკუთრებულ სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ მნიშვნელობას იძენს გამომდინარე იქედან, რომ სალიცენზიო/სანებართვო პირობების დარღვევით განხორციელებული საქმიანობა გამოუსწორებელ ზიანს აყენებს გარემოს, უარყოფითად ზემოქმედებს წიაღზე, წყალსა და ჰაერზე, დაანგარიშებული გარემოსათვის მიყენებული ზიანი, ზემოხსენებულ მონაცემებზე დაყრდნობით მინიმუმ 416110418,51 ლარს შეადგენს, რომელიც უწყვეტად განაგრძობს ზრდას. თუმცა, მეორეს მხრივ, კომპანიისათვის ნებართვით/ლიცენზიით მინიჭებული უფლების შეჩერება ქმნის წარმოების გაურკვეველი ვადით შეწყვეტისა და სხვა ეკონომიკური პრობლემების საფრთხეს, ვინაიდან შპს „ჯორჯიან მანგანუმი“ წარმოადგენს ერთადერთ კომპანიას, რომელსაც მოცემული მომენტისათვის შეუძლია მანგანუმი მადნის მოპოვება-გადამუშავების რთული პროცესის უზრუნველყოფა, აღჭურვილია სათანადო საწარმოო ქარხანა-დანადგარებით (ყველა ობიექტზე) და სხვა მატერიალური და არამატერიალური აქტივებით, მათ შორის, შესაბამისი ადამიანური რესურსით. თუმცა, აქვე უნდა ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ როგორც ზემოთ აღინიშნა, შპს „ჯორჯიან მანგანუმი“ დაკისრებული ჯარიმების პარალელურად მისთვის არაერთხელ მინიჭებული დამატებითი გონივრული ვადიდან არცერთ შემთხვევაში არ უზრუნველყო სალიცენზიო/სანებართვო პირობების დაკმაყოფილება, უფრო მეტიც, ამ მიზნით ქმედითი მცდელობებიც არ განუხორციელებია და დღემდე აგრძელებს უპირატესად ლიცენზიის პირობათა უხეშ უგულებელყოფას. დღევანდელი მოცემულობის გათვალისწინებით კი, ნაკლებ სავარაუდოა კომპანიის მხრიდან ზემოთ დასახელებულ პრობლემათა სამომავლო აღმოფხვრა, ვინაიდან როგორც აღინიშნა, გარკვეული ვალდებულებების შესასრულებლად დღემდე ქმედითი ღონისძიებები გატარებული არ არის და **უახლოეს მომავალში მისი შესრულება ფაქტობრივად შეუძლებელია“.**

ყოველივე აღნიშნულის საფუძველზე გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ და გარემოს ეროვნულმა სააგენტომ მოითხოვეს შპს „ჯორჯიან მანგანუმი“ სალიცენზიო და სანებართვო პირობების შესასრულებლად სპეციალური მართვის რეჟიმის ამოქმედება არაუმეტეს 3 წლის ვადით. მოთხოვნის თანახმად, მართვა უნდა განხორციელდებინა სპეციალურ მმართველს და ამ თანამდებობაზე უნდა დანიშნულიყო ნიკოლოზ ჩიქოვანი. სპეციალურ მმართველს უნდა მინიჭებოდა არა მხოლოდ ლიცენზიისა და ნებართვის პირობების შესრულებასთან დაკავშირებული საქმიანობის, არამედ სრულად **საწარმოს ერთპიროვნულად და დამოუკიდებლად მართვის უფლება**. შუამდგომლობის ავტორები ითხოვდნენ მმართველისათვის ყოველთვიური ანგარიშის სასამართლოსა და სამინისტროსათვის წარდგენის დავალდებულებას და მისთვის 8000 ათასი ლარის ოდენობით ხელფასის დანიშვნას.

საკულისხმოა, რომ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა და სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსმა შპს „ჯორჯიან მანგანუმი“ სპეციალური მმართველის დანიშვნის შუამდგომლობით თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 10 მაისს მიმართეს. შუამდგომლობა მოსამართლე ნინო ბუაჩიძემ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა და მეორე დღესვე, 2017 წლის 11 მაისს, [გადანყვეტილებაც](#) მიიღო. აღსანიშნავია, რომ თავად შუამდგომლობა 23 გვერდზე იყო წარმოდგენილი, ხოლო მტკიცებულებები წარმოდგენილი იყო 1195 ფურცლად. 2017 წლის 11 მაისს 17.41-ზე დოკუმენტი უკვე სამენარმეო და არასამენარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში სარეგისტრაციოდ იყო წარდგენილი.

სასამართლომ სრულად გაიზიარა შუამდგომლობის ავტორების პოზიცია და დააკმაყოფილა ყველა მოთხოვნა.

სასამართლოს განჩინების თანახმად, „სასამართლოს მოსაზრებით, შუამდგომლობა ეფუძნება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლს და წარმოადგენს უზრუნველყოფის ღონისძიებას. [საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის](#) 31 მუხლის თანახმად, „განცხადების საფუძველზე

სასამართლოს **სარჩელის აღძვრამდე** შეუძლია დავის საგანთან დაკავშირებით მიიღოს დროებითი განჩინება, როდესაც არსებობს საშიშროება, რომ არსებული მდგომარეობის შეცვლით ხელი შეეშლება განმცხადებლის უფლების რეალიზაციას ან აღნიშნული მნიშვნელოვნად გართულდება. სასამართლოს დროებითი განჩინების გამოყენება დასაშვებია ასევე სადავო სამართლებრივი ურთიერთობის წინასწარი მონესრიგებისათვის, თუ ეს მონესრიგება, უპირველეს ყოვლისა, გრძელვადიანი სამართლებრივი ურთიერთობის შემთხვევაში აუცილებელია მნიშვნელოვანი ზიანის, არსებული საფრთხის ან სხვა საფუძვლების გამო“.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ [შეფასების](#) თანახმად, სასამართლოს განჩინება შპს „ჯორჯიან მანგანეზში“ სპეციალური მმართველის დანიშვნასთან დაკავშირებით დაუსაბუთებელია. დროებითი განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს. კანონმდებლობის მიხედვით, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას სასამართლო ეყრდნობა ვარაუდს, რომ სარჩელი შეიძლება დაკმაყოფილდეს. აღსანიშნავია, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებით სარგებლობა მხარეს სარჩელის სასამართლოში შეტანამდეც შეუძლია, თუმცა ამ შემთხვევაში სავალდებულოა, მხარემ განჩინების გამოტანიდან 10 დღის ვადაში სასამართლოს ძირითადი სარჩელით მიმართოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, განჩინება უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ უნდა გაუქმდეს. იმ პირობებში, როდესაც საქმეში არ არსებობს ძირითადი სარჩელი და დავა გადაწყვეტილია არსებითად, გაუგებარია, რისი უზრუნველყოფისთვის გამოიყენა დროებითი განჩინება სასამართლომ. ამ კუთხით სასამართლოს მოტივაცია იმდენად გაუგებარია, რომ იგი ლეგიტიმური ეჭვების გაჩენის შესაძლებლობას ქმნის, რაც ცალსახად უარყოფითად აისახება სასამართლოს რეპუტაციაზე და პირდაპირპროპორციულად ამ ინსტიტუტის მიმართ ნდობის შემცირებას იწვევს“.

საკულისხმოა, რომ სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში მიუთითებს ლიცენზიების და ნებართვების შესახებ კანონის 22-ე და 34-ე მუხლებით განსაზღვრულ წესზე სპეციალური მართველის დანიშვნის თაობაზე გადაწყვეტილების გაუქმებისათვის - იმ შემთხვევაში თუკი ლიცენზიის/ნებართვის მფლობელი შეასრულებს სალიცენზიო/სანებართვო პირობებს. თუმცა, გაუგებარი რჩება როგორ უნდა შეასრულოს ლიცენზიის/ნებართვის მფლობელმა პირობები სანარმოს ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაში მონაწილეობის აკრძალვის გათვალისწინებით.

მოსამართლე ნინო ბუაჩიძე მაქსიმუმ 1,5 სამუშაო დღის განმავლობაში გაეცნო 1218 ფურცელზე წარდგენილ ინფორმაციას, გაიაზრა, მიიღო გადაწყვეტილება და 30 გვერდიანი გადაწყვეტილება დაწერა.


ჯორჯიან მანგანეზის მფლობელის პოზიციის სპეციალური მმართველის დანიშვნასთან დაკავშირებით

„ჯორჯიან მანგანეზის“ მფლობელმა [კომპანია ჯორჯიან ამერიქენ ელითზმა](#) 2017 წლის 15 მაისს სპეციალური მმართველის დანიშვნიდან 4 დღის შემდეგ სპეციალური [განცხადება](#) გაავრცელა, რომელშიც აღნიშნული იყო რომ „შვიდი დღის გასვლის შემდეგ, რაც „ჯორჯიან მანგანეზმა“ საქართველოს მთავრობას ღიად ამცნო ორგანიზაციის მზადყოფნა, რომ სამართლიანობის აღდგენის მიზნით, მიმართავდა საერთაშორისო დახმარებას, 2017 წლის 11 მაისს მთავრობამ ამის საპასუხოდ ხელში ჩაიგდო „ჯორჯიან მანგანეზის“ საქმიანობაზე სრული კონტროლი. მთავრობის მიერ განხორციელებულ არამართლობიერი და უკანონო ქმედებები შემდეგში მდგომარეობს:

1. მთავრობის მიერ განხორციელებული ქონების ხელში ჩაგდება/ექსპროპრიაცია;
2. საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრომ მოიპოვა სასამართლოს ცალმხრივი ბრძანება „ჯორჯიან მანგანეზის“ დირექტორის განთავისუფლების და მის ნაცვლად მთავრობის მიერ შერჩეული დირექტორის (სპეციალური მმართველის) დანიშვნის შესახებ.

3. საქართველოს მიერ საერთაშორისო სამართლით ნაკისრი ვალდებულებების იგნორირებით, სასამართლომ შეცვალა „ჯორჯიან მანგანუმის“ დირექტორი და უსაზღვრო უფლებამოსილებით აღჭურვა ახალი დირექტორი (სპეციალური მმართველი), რომელიც მისივე გადაწყვეტილებით სარგებლობს „ჯორჯიან მანგანუმის“ სამეთვალყურეო საბჭოს ნაცვლადაც;
4. კომპანიის უცხოელ აქციონერთა ინტერესების სრული იგნორირებით (რომლებიც ფლობენ წილის უმრავლესობას), მთავრობამ დანიშნა ახალი დირექტორი (სპეციალური მმართველი), **რომელიც ახლო კავშირში იმყოფება და კერძო ინტერესები გააჩნია აქციონერთა იმ ქართულ ჯგუფთან, რომელიც GAA-ს საკუთრების უმნიშვნელო წილს, 4%-ს ფლობს;**
5. საქართველოს სასამართლო არ მოქმედებს დამოუკიდებლად და უგულებელყოფს სამართლიან პროცესის წარმართვას;
6. უკანასკნელ პერიოდში „ჯორჯიან მანგანუმი“ მოწმე გახდა არაერთი უსამართლო პროცედურული განხილვის თუ არსებითი დადგენილების, რაც დაუფარავ ეჭვს აჩენს საქართველოს სასამართლოს დამოუკიდებლობაში.
7. საქართველოს მთავრობამ იგნორირება მოახდინა არა ერთი ორმხრივი თუ მრავალმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულების პირობებისა, რითაც უხეშად დაარღვია ევროპის კონვენცია ადამიანთა უფლებების შესახებ;
8. „ჯორჯიან მანგანუმს“ დაეკისრა 82 მილიონი აშშ დოლარზე მეტი ოდენობის გადასახადების, ჯარიმებისა და საურავების გადახდა;
9. დაკისრებული ვალდებულება უსამართლოა და ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას, საერთაშორისო სამართალს, საერთაშორისო ფინანსური აღრიცხვიანობის პრინციპებს და საწარმოო სტანდარტების პრაქტიკას;
10. „ჯორჯიან მანგანუმის“ ფინანსური აუდიტი ყოველწლიურად ტარდება საერთაშორისო აუდიტორული კომპანიის PwC-ის (PricewaterhouseCoopers) მიერ. ამის გარდა მათ მიერ პერიოდულად მზადდება დასკვნები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებზე და სატრანსფერო ფასწარმოქმნაზე;
11. მეორე საერთაშორისო აუდიტორულმა კომპანიამ E&Y (Ernest&Young) თავის მხრივ შეისწავლა და წარმოადგინა დასკვნები სატრანსფერო ფასწარმოქმნაზე (transfer pricing)-E&Y(ავსტრალია) ასევე საფუძვლიანად შეისწავლა მადნის მოპოვების პროცესებიც;
12. ვერც PwC-მ და ვერც E&Y ვერანაირი საფუძველი ვერ ნახა თუ რისთვის უნდა დაეკისროდა კომპანიას ჯარიმები;
13. გარემოს დაცვის რეგულაციების ბოროტად გამოყენებით და სხვა მანიპულაციებით კომპანიისთვის დაკისრებულ იქნა 160 მილიონი დოლარის ოდენობის ჯარიმა;
14. ასეთი სახის სამართლებრივი დევნა ყოველად გაუაზრებელია და უსამართლოდ აღსრულებული;
15. რამდენიმე წლის წინ „ჯორჯიან მანგანუმმა“ საკუთარი ინიციატივით საქართველოს მთავრობას მიმართა თხოვნით, ნებართვა მიეცათ განეხორციელებინა 25 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია ახალი გამამდიდრებელი ფაბრიკის მშენებლობაზე ჭიათურაში, რაც მთლიანად აღმოფხვრიდა გარემოზე მავნე ზემოქმედებას;
16. საქართველოს მთავრობა რამდენიმე წლის განმავლობაში განზრახ ბლოკავდა კომპანიის მიერ ინიცირებულ საინვესტიციო პროექტს და ამით ამჯობინებდა გარემოსდაცვითი დარღვევები გამოეყენებინა შემდგომ უსამართლო ჯარიმების დასაკისრებლად”.

ამ განცხადების გავრცელებიდან ერთ თვეში 2017 წლის 14 ივნისს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილემ მია ბითაძემ, კომპანიის „Georgian American Alloys“ აქციონერმა და წარმომადგენელმა ურიელ ლაბირმა და „ჯორჯიან მანგანუმი“ სპეციალურმა მმართველმა ნიკოლოზ ჩიქოვანმა საგანგებო [პრესკონფერენცია](#) ჩაატარეს. პრესკონფერენციაზე გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სამინისტროსა და Georgian American Alloys წარმომადგენლებს შორის შედგა შეთანხმება. კომპანიის წარმომადგენლებმა გაიზიარეს გარემოებები, რომელთა საფუძველზე „ჯორჯიან მანგანუმი“ სპეციალური მმართველი დაინიშნა და მოიწონეს ლიცენზიისა და ნებართვის პირობების შესრულებისათვის სპეციალური მომზადებული გეგმა და ხელმოწერით დადასტურეს გეგმის შესრულების ვალდებულება.



ვინ არის ჯორჯიან მანგანუმის სპეციალური მმართველი?

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს 2017 წლის 11 მაისის [განცხადების](#) თანახმად,

სპეციალური მმართველის შერჩევასთან დაკავშირებით სამინისტროში დაცული ერთადერთი დოკუმენტი										
აპსონალური ინფორმაცია										
გვარი, სახელი	ნიკოლოზ ჩიქოვანი									
მისამართი	თბილისი, ვაჟა ფშაველას 51/8, ბინა 42									
ტელეფონი										
ელექტრონული ფოსტა										
მოქალაქეობა	საქართველო									
დაბადების თარიღი	10.03.1969									
სქესი	მამრობითი									
სამუშაო გამოცდილება										
თარიღი	2008 - დღემდე									
თანამდებობა	ფორექტორი									
ორგანიზაციის დასახელება	შპს რჩემა									
მისამართი	ბელაშკის ქუჩა, 39									
თარიღი	2001-2008									
თანამდებობა	ბუნებრივი რესურსების დაცვის დეპარტამენტი									
ორგანიზაციის დასახელება	სს უფრო - ზესტალონის ფეროშენადნობის ქარხანა									
მისამართი	ზესტალონი, საქართველო 9									
თარიღი	2000-2003									
თანამდებობა	სამეცნიერო-სამეთვლეყრო									
ორგანიზაციის დასახელება	სადაზოველო კომპანია ნაბათი									
თარიღი	1996-2000									
თანამდებობა	წარმომადგენელი საქართველოში									
ორგანიზაციის დასახელება	დემონსტრაციული საკონსულტაციო კომპანია ICe									
თარიღი	1994-1996									
თანამდებობა	გასაღწევი ექსპერტიზის განყოფილების ხელმძღვანელი									
ორგანიზაციის დასახელება	საქართველოს საცარკო ურთიერთობათა კომიტეტი									
განათლება										
თარიღი	1993-1994									
საგანმანათლებლო დაწესებულება	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საბარკო სასწე									
თარიღი	1991									
საგანმანათლებლო დაწესებულება	ბერლინის უნივერსიტეტი, გეოლოგიის ინსტიტუტი									
თარიღი	1989-1993									
საგანმანათლებლო დაწესებულება	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტი									
თარიღი	1986-1988									
საგანმანათლებლო დაწესებულება	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფიზიკის ფაკულტეტი									
თარიღი	1988-1989									
სადასაქმებელი სამსახური										
მშობლიური ენა	ქართული									
უცხო ენები	<table border="1"> <tr> <td>ინგლისური</td> <td>საუბრობს</td> <td>კარგად</td> </tr> <tr> <td>რუსული</td> <td>საუბრობს</td> <td>კარგად</td> </tr> <tr> <td>საქართველო</td> <td>საუბრობს</td> <td>კარგად</td> </tr> </table>	ინგლისური	საუბრობს	კარგად	რუსული	საუბრობს	კარგად	საქართველო	საუბრობს	კარგად
ინგლისური	საუბრობს	კარგად								
რუსული	საუბრობს	კარგად								
საქართველო	საუბრობს	კარგად								

„სპეციალურ მმართველად, წარდგენილ და დანიშნულ იქნა ნიკოლოზ ჩიქოვანი, რომელსაც გააჩნია **დიდი გამოცდილება** სს „ფეროშენადნობთა ქარხანა“ მუშაობისა, რომელიც კარგად იცნობს ასევე შპს „ჯორჯიან მანგანუმი“-ში არსებულ პრობლემებს და ვფიქრობთ, იგი დროულად შეძლებს მძიმე ეკოლოგიური მდგომარეობის ეტაპობრივ გამოსწორებას ჭიათურასა და ზესტალონში“.

მწვანე ალტერნატივამ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროდან გამოითხოვა შპს „ჯორჯიან მანგანუმი“ სპეციალური მმართველის კანდიდატურის შერჩევის ამსახველი სრული ადმინისტრაციული წარმოების მასალები. პასუხად სამინისტრომ გადმოგვცა ნიკოლოზ ჩიქოვანის ბიოგრაფია და განმარტა, რომ კანონმდებლობა სპეციალური მმართველის დანიშვნის ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების ვალდებულებას არ ითვალისწინებს. შესაბამისად, უცნობია როგორ, ვისი წარდგინებით და რა კრიტერიუმების საფუძველზე შეირჩა კანდიდატურა. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილის მია ბითაძის [განმარტებით](#), გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა გიგლა აგულაშვილმა და გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსმა თამარ

ბაგრატიამ მიიღეს გადაწყვეტილება კანდიდატურის შერჩევის შესახებ. ნიკოლოზ ჩიქოვანის კანდიდატურის შერჩევაში კი გადამწყვეტი როლი შეასრულა ზესტალონი ფეროშენადნობთა ქარხანაში მუშაობის ხანგრძლივმა გამოცდილებამ.

სს "გნიკოლაძის სახელობის ზესტაფონის ფეროშენადნობა ქარხანი"
(საწარმის) სახელმწიფო (სამწარმო) და
საგადასახადო რეგისტრაციის მონაცემები ცვლილებების
შეტანის შესახებ

„ქეჩნეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9-ე მუხლის ცვლილებების და დეკლარაციის რეგისტრაცია, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 29 ივნისის N717 ბრძანების 14-ე პუნქტის ასევე ბრძანებით დამტკიცებულ „საწარმოს (ზოი შირის ინფლაციური საწარმოს), არასამწარმო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა, ფილიალების (წარმომადგენლობების) სახელმწიფო რეგისტრაციისა და საგადასახადო განაშლვის ადრინდის წესის შესახებ“ ინსტრუქციის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად და საწარმოს შრომის წარმომადგენელი „საწარმოს“ სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის ცვლილების შესახებ 27.11.2006წ. ფრესტების“ და 2006 წლის 3 თებერვლის საინფორმაციო საბჭოს კრების ოქმის, საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე:
1. განხორციელდეს ცვლილება სს "გნიკოლაძის სახელობის ზესტაფონის ფეროშენადნობა ქარხანა"


საქმის სწავლის დასრულების
სახელმწიფო (სამწარმო) და საგადასახადო რეგისტრაციის მონაცემები, რომელიც
რეგისტრირებულია **ქ. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს შტაბ**

2. გარედს სამწარმო რეგისტრში შემდეგი ცვლილება: *კერძო, განთავსებულია საზოგადოების გენერალური დირექტორი ნიკოლოზ ჩიქოვანი და აღმასრულებელი დირექტორი კონსტანტინე კოკია დაკავებული თანამდებობიდან. საზოგადოების აღმასრულებელ დირექტორად დაინშნა ბურუნდ ვარსაძე, გერსიანის მოქალაქე, მცხოვრები შეივარია, ქვეუბა, პასპორტი №146368595;*

3. საზოგადოების წესების 5.2 პუნქტს დაემატა 5.2.4 ქვეპუნქტი, ასევე შეიცვალა 7.1 და 7.2 პუნქტები;

4. დაეკლოს საგადასახადო ინსპექციის მომსახურების სამსახურის უფროსის შესაბამისი ცვლილების მონაცემები სამწარმო და საგადასახადო რეგისტრში შეტანა და გაიცეს საწარმოზე სამწარმო რეგისტრის ამონაწერი აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით;

5. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გაისაჩივრებელი იქნეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ინსპექციის უფროსი (საფუძველზე) _____ (სტამბა/წერა) _____
ბ.ა. 

საგულისხმობა, რომ დანიშნული სპეციალური მმართველის ბესტაფონის ფეროში მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილება ხაზგასმით აღნიშნებოდა მმართველის დანიშვნასთან დაკავშირებულ ყველა განცხადებაში.

ნიკოლოზ ჩიქოვანის მიერ წარდგენილ ავტობიოგრაფიაში მართლაც აღნიშნულია, რომ ის **2003-2008 წლებში** სს ფერო-ბესტაფონის ფეროშენადნობა ქარხანაში გენერალური დირექტორის თანამდებობას იკავებდა. თუმცა, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, ნიკოლოზ ჩიქოვანი მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის #95 ბრძანების საფუძველზე **2006 წლის 27 ნოემბერს** გათავისუფლდა სს ბესტაფონის გ. ნიკოლაძის სახელობის ფეროშენადნობა ქარხნის გენერალური დირექტორის თანამდებობიდან.

ნაკლებად სავარაუდოა, რომ ნიკოლოზ ჩიქოვანს არ ახსოვდა საწარმოს გენერალური დირექტორის პოზიციიდან მისი გათავისუფლების თარიღი, ვინაიდან საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია მისი საწარმოში დასაქმებისა და გათავისუფლების თარიღების შესახებ და ეს ინფორმაცია სწორედ ნიკოლოზ ჩიქოვანის მოთხოვნის საფუძველზეა მომზადებული.

ამრიგად, ნიკოლოზ ჩიქოვანი სს ბესტაფონის გ. ნიკოლაძის სახელობის ფეროშენადნობა ქარხნის გენერალური დირექტორის თანამდებობას არასრული სამი წელიწადი იკავებდა 2003-2006 წლებში. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ ან არ გადაამონშა ნიკოლოზ ჩიქოვანის მიერ წარდგენილი ინფორმაცია, ან თავად შეუწყო ხელი მცდარი ინფორმაციის გავრცელებას, რაც თანამომადი დანაშაულია ასეთ მნიშვნელოვან პოზიციებზე კანდიდატურის შერჩევისას. კანდიდატურის უპასუხისმგებლოდ და სავარაუდოდ, კონკრეტული პირების ინტერესების დასაკმაყოფილებლად შერჩევაზე მეტყველებს ასევე ის ფაქტი, რომ ნიკოლოზ ჩიქოვანის ფეროშენადნობა ქარხანაში მუშაობის 12 წლის წინანდელი გამოცდილება საზოგადოებას წარმოუჩინეს, როგორც არა მარტო ბესტაფონის ფეროში, არამედ ჭიათურაში, დღეს არსებული პრობლემების და მათი გადაჭრის გზების ცოდნის გარანტია.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

განცხადების რეგისტრაციის ნომერი: № B14095204
განცხადების რეგისტრაციის დრო: 26/09/2014 11:55
ინფორმაციის მოშაადების დრო: 26/09/2014 14:58

ინფორმაცია მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს 26/09/2014 წელს წარედგინა განცხადება №B14095204 (განმცხადებელი ნიკოლოზ ჩიქოვანი).

განცხადებით მოთხოვნილია ინფორმაცია, ნიკოლოზ ჩიქოვანი (პ/ნ 01009009175) რომელ პერიოდში იყო გენერალურ დირექტორად რეგისტრირებული სააქციო საზოგადოება „ზესტაფონის გ.ნიკოლაძის სახელობის ფეროშენადნობა ქარხანა“- ში (ს/ნ 230026085).

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით სააქციო საზოგადოება „ზესტაფონის გ.ნიკოლაძის სახელობის ფეროშენადნობა ქარხანა“- ში (ს/ნ 230026085) ნიკოლოზ ჩიქოვანი (პ/ნ 01009009175) გენერალურ დირექტორად რეგისტრირებული იყო: 22/12/2003 წლიდან 27/11/2006 წლამდე.

საფუძველი: 22/12/2003 წ. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს დადგენილება #32/5-25; 27/11/2006 წ.მსხვილგადამხდელთა ინსპექციის ბრძანება #95.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, ნიკოლოზ ჩიქოვანი არის შპს „ნიუ ტექნოლოჯის“ (ს/კ404441886) დირექტორი. ამავდროულად, ლაშა ჩხენკელთან¹ (40%) ერთად არის საწარმოს მენილე (60%). ნიკოლოზ ჩიქოვანი, ასევე, არის შპს „თრეიდინგ თრასთის“ (ს/კ404480664) 100% წილის მფლობელი და დირექტორი. ამ ორ საწარმოში ნიკოლოზ ჩიქოვანის სამუშაო გამოცდილება არ არის მითითებული მის ავტობიოგრაფიაში.

ამ თითქოსდა „პატარა ტყუილების“ გარდა, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ ნიკოლოზ ჩიქოვანის ბიოგრაფიის ძალიან მნიშვნელოვანი დეტალი დაუმალა საზოგადოებას. სწორედ 2005-2006 წლებში ნიკოლოზ ჩიქოვანი ფეროში ფინანსურ დარღვევებთან და წილების განაწილებასთან დაკავშირებული ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანი სკანდალის აქტიური მონაწილე იყო. 2005 წლის ბოლოს ფინანსურმა პოლიციამ "ფეროს" ხელმძღვანელების მიმართ სისხლის სამართლის საქმეც კი აღძრა, განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადისათვის თავის არიდებისა და საბუღალტრო წიგნის წარმოების წესის დარღვევის ფაქტებზე.

გესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის მიერ 2006 წლის 21 მარტს გამოქვეყნებული მოკვლევის შედეგების თანახმად, „საწარმოს გენერალური დირექტორი ნიკა ჩიქოვანი და აღმასრულებელი დირექტორი კორნელი კოკია ორ თვეზე მეტია სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ იმყოფებიან. თუმცა სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის დოკუმენტაცია დღემდე მოქმედი გენერალური დირექტორის ნიკა ჩიქოვანის ხელმოწერით წარმოებს, რომელთან ურთიერთობაც ელექტრონული ფოსტისა და კომუნიკაციის სხვა საშუალებებით ხორციელდება. 2005 წლის ბოლოდან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის მიერ მიმდინარეობს საწარმოს ფინანსური საქმიანობის შემოწმება. ფინანსური პოლიციის 2005 წლის 30 დეკემბერის შუალედურ აქტში აისახა 2004-2005 წლებში განხორციელებული ექსპორტ-იმპორტის ოპერაციების ზეგავლენა ბიუჯეტში გადასახდელების (ძირითადად მოგების გადასახადის) მიმართ. საწარმოში სერიოზული დარღვევები იქნა აღმოჩენილი. ფინანსური პოლიციის შემოწმების შედეგად შემუშავებულ შუალედური აქტზე დაყრდნობით 2006 წლის 4 იანვარს გამოიცა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის ხელმძღვანელის ბრძანება, რომლითაც სს "ფეროს" ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა 52,2 მლნ. ლარის გადახდა. შემოწმების მიმდინარეობის პროცესში დამატებით დარიცხული თანხების ოდენობა კვლავ გაიზარდა და საბოლოოდ 107,0 მლნ. ლარი შეადგინა". შუალედურ დასკვნის თანახმად, "აღნიშნულის შესახებ არაერთხელ ეცნობა სს "ფეროს" გენერალურ დირექტორს, ბატონ ნიკოლოზ ჩიქოვანს და ეთხოვა მას, გამოძიების სრულყოფისათვის მოეწოდებინა უფლებამოსილი წარმომადგენელი, რაც დღემდე არ მომხდარა". მაშინ ნიკოლოზ ჩიქოვანმა თავს ქვეყნიდან გაქცევით უშველა.

როგორ დაედო ვალები მომგებიან ქარხანას? ამის შესახებ განმარტება გაზეთ 24 საათთან ინტერვიუში სს „ფეროს“ აქციათა საკონტროლო პაკეტის (51%) მფლობელი კომპანია დეცომეტალის წარმომადგენელმა გააკეთა: "იცი, ვისი ვალი აქვს ქარხანას? - გიორგი კაპანაძისა და ილია კოკიასი. ვალები მაშინ წარმოიშვა, როცა კოკიამ ქარხნის მმართველობის მონოპოლიზაცია მოახდინა. მან "ფეროს" მოგება კომპანია "ბეტაკონტაქტი" გაუშვა. "ბეტაკონტაქტი" კოკიას საკუთარი ფირმა გახლავთ, რომელიც "ფეროდან" პროდუქციას 400 დოლარად


¹ „ძმები ჩხენკელები ფართო საზოგადოებისთვის მაინცდამაინც ცნობილი სუბიექტები არ არიან. სამაგიეროდ, „პრემიერის“ წყაროს განმარტებით, აკაკი, რომან და ლაშა ჩხენკელებს პოლიტიკურ და ბიზნეს ისტებლიშმენტში კარგად იცნობენ. სამი ძმიდან პირველი, რომელმაც ახალ ხელისუფლებაში მაღალი თანამდებობა მიიღო, აკაკი ჩხენკელია - ის 2013 წლის მიწურულს მთავრობის კანცელარიის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელად დაინიშნა... 2013 წლის გაზაფხულზე "ოცნების" ხელისუფლებაში აკაკი ჩხენკელის ძმა, რომანი გამოჩნდა აჭარის აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილედ დაინიშნა. ახლახან კი, პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილის ეკონომიკური მრჩეველი გახდა. აკაკი და რომან ჩხენკელების ნაბოლარა ძმა, ლაშა კი, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პირველი ვიცე-პრეზიდენტი და ამასთანავე, ტელეკომპანია "ტვ 3"-ის ერთ-ერთი დამფუძნებელია“ [გაზეთი „პრემიერი“](#)

ყიდულობდა და თვითონ 1000 დოლარად ყიდდა. ამას გარდა, ამ ფირმას შემოჰქონდა "ფეროში" კოქსი ორმაგ ფასად. შედეგად "ფეროს" 30 მილიონი დოლარის ვალი დაუგროვდა "ბეტაკონტაქტის" წინაშე. ამ პერიოდში კოკაიამ "ფეროს" აღმასრულებელ დირექტორად თავისი ძმა - **კორნელი კოკაია** დანიშნა. კოკაიამ და მისმა მეგობრებმა ერთ წელიწადში მიიყვანეს ქარხანა გაკოტრების ზღვარზე: მარტო 2004 წელს, როცა ქარხანას, ყველანაირი გათვლებით, 40 მილიონი დოლარი მოგება უნდა მიეღო, რეალურად 13 მილიონი წაგება ჰქონდა," - აცხადებს გიგა ბედინეიშვილი. მთელი ეს სქემა ცნობილი 2006 წლის 14 თებერვალს გახდა, როცა ქარხანაში შესამოწმებლად ფინანსური პოლიცია შევიდა“.

საგულისხმოა, რომ ნიკოლოზ ჩიქოვანი ზესტაფონში წლების შემდეგ 2016 წელს საპარლამენტო არჩევნების დროს გამოჩნდა და მხარს დამოუკიდებელ (რომელიც ასევე, "ქართული ოცნების" კანდიდატად მოიაზრებოდა) [მაჟორიტარობის კანდიდატ ილია კოკაიას უჭერდა.](#)

ყოველივე აღნიშნულის ფონზე, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ ნიკოლოზ ჩიქოვანის სს „ფეროში“ მიღებული გამოცდილების დადებით კონტექსტში წარმოჩენა უკეთეს შემთხვევაში უკიდურეს არაკომპეტენტურობაზე, ხოლო უარეს შემთხვევაში ელიტურ კორუფციაში ჩართულობაზე მიუთითებს.

მწვანე ალტერნატივა განაგრძობს საკითხის კვლევას და „ჯორჯიან მანგანუმის“ შესახებ შემდეგ პუბლიკაციაში უკვე მართვის სპეციალური რეჟიმის შედეგების შეფასებას წარმოუდგენს დაინტერესებულ საზოგადოებას.



დოკუმენტი გამოცემულია მწვანე ალტერნატივას პროექტის „ენერგეტიკისა და წიაღით სარგებლობის სექტორებში მმართველობის გაუმჯობესების ხელშეწყობისათვის საქართველოში“ ფარგლებში. პროექტი ხორციელდება ღია საზოგადოების ფონდების ქსელის ფინანსური მხარდაჭერით.

ამ დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები გამოხატავს მწვანე ალტერნატივას პოზიციას და არ შეიძლება განხილულ იქნას ღია საზოგადოების ფონდების ქსელის შეხედულებათა ამსახველად.

ავტორი: ნინო გუჯარაიძე



თბილისი, 0179,
ფალიაშვილის ქ.#39ბ, IV სართ.
ტელ.: 222 38 74
GREENALT@GREENALT.ORG
WWW.GREENALT.ORG